

შპს „მეტეხი პლასტიკის“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	121
8. ძირითადი საშუალებები	12
9. მარაგები.....	14
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
11. ფული და ფულის ექვივალენტები	14
12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	14

შპს „მეტეხი პლასტიკი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	553,167	357,827
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(427,630)	(290,116)
საერთო მოგება		125,537	67,711
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(2,009)	(1,931)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(104,137)	(79,767)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(19,391)	(13,987)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		3,753	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(5,671)	(8,101)
საპროცენტო შემოსავალი		8,729	15676
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,263)	658
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		24,941	(5,754)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		24,941	(5,754)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს

დავით კაკაბაძე
დირექტორი



შპს „მეტეხი პლასტიკი“
 მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	553,167	357,827
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(427,630)	(290,116)
საერთო მოგება		125,537	67,711
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(2,009)	(1,931)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(104,137)	(79,767)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(19,391)	(13,987)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		3,753	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(5,671)	(8,101)
საპროცენტო შემოსავალი		8,729	15676
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,263)	658
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		24,941	(5,754)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		24,941	(5,754)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს

დავით კაკაბაძე
 დირექტორი

შპს „მეტეხი პლასტიკი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	638,962	683,460
არამატერიალური აქტივები		413	540
გაცემული სესხები		-	47,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		639,375	731,000
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	201,782	295,769
მისაღები პროცენტები		32,332	24,885
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	140,066	65,240
ფული და ფულის ექვივალენტები	11	215,226	73,218
სულ მიმდინარე აქტივები		589,406	459,112
სულ აქტივები		1,228,781	1,190,112
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		724,116	724,116
გაუნაწილებელი მოგება		463,383	438,447
სულკაპიტალი		1,187,499	1,162,563
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	12	41,282	27,549
გადასახდელი იჯარა		-	-
გადასახდელი პროცენტები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		41,282	27,549
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,228,781	1,190,112

შპს „მეტეხი პლასტიკი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2019	774,116	444,227	1,218,343
პერიოდის მოგება-ზარალი	-	(5,754)	(5,754)
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის შემცირება	(50000)	-	(50000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(26)	(26)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	774,116	438,447	1,162,563
პერიოდის მოგება-ზარალი	-	24,941	24,941
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(5)	(5)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	724,116	463,383	1,187,499

შპს „მეტეხი პლასტიკი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეტეხი პლასტიკი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შპს „ბ&წ“-ის / ს.ნ. 204506472 / შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. იგი დაარსდა 2011 წლის 18 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 432539586

ძირითადი საქმიანობა: შპს „მეტეხი პლასტიკი“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის მილების გაზისთვის და წყლისთვის და პოლიპროპილენის მილების ცივი და ცხელი წყლისთვის წარმოება. კომპანიაში დასაქმებულია 14 (თოთხმეტი) თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს შპს „ბ&წ“ ფლობს.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება: აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) მოთხოვნების გათვალისწინებით, მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობები თან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა: ლარი არის შპს “მეტეხი პლასტიკის” მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **ადიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ ადიარდება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის ადიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) ადიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან ადიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების ადიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა:** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების ადიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობები	15-20
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
შენობები	40-50

არამატერიალური აქტივები.

- **ადიარება და შეფასება:** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საადრიცხო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ამორტიზაცია:** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ. ,როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები: კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები: სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები: სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები: 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ

იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები: კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი: გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი: ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება: შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი: სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე / გრძელვადიანის მიხედვით: კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე / გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელი ამისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება:** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა:** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5 შემოსავალი რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი პოლიპროპილენის მიღების რეალიზაციიდან	75,517	6,549
შემოსავალი პოლიეთილენის მიღების რეალიზაციიდან	409,945	348,794
სხვა შემოსავალი	67,705	2,484
ჯამი	553,167	357,827

6 რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
პოლიპროპილენის მიღების თვითღირებულება	(66,019)	(5,577)
პოლიეთილენის მიღების თვითღირებულება	(287,110)	(280,031)
სხვა	(74,500)	(4,508)
ჯამი	(427,630)	(290,116)

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შრომის ანაზღაურება	(32,978)	(7,175)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56,897)	(56,656)
საიჯარო ქირა	(5,085)	(5,085)
რემონტის ხარჯები	-	(781)
საყოფაცხოვრებო ხარჯები	(125)	(62)
ბანკის საკომისო	(557)	(528)
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
კომპიუტერის და საკანცელარიო ხარჯები	(297)	(619)
საგადასახადო ხარჯი	(7,213)	(8,064)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(984)	(796)
ჯამი	(104,137)	(79,767)

8 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა /ინვენტარი	არამატ. აქტივი	ჯამი
თვითღირებულება								
31 დეკემბერი 2018	33,030	-	192,970	7,609	770,335	4,000	1,271	1,009,215
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	33,030	-	192,970	7,609	770,335	4,000	1,271	1,009,215
ცვეთა								
31 დეკემბერი 2018	-	-	(14,867)	(957)	(250,207)	(1,924)	(604)	(268,559)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(4,583)	(190)	(51,356)	(400)	(127)	(56,656)
31 დეკემბერი 2019	-	-	(19,450)	(1,148)	(301,563)	(2,324)	(731)	(325,216)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2018	33,030	-	178,104	6651	520,128	2,076	667	740,655
31 დეკემბერი 2019	33,030	-	173,520	6461	468,772	1,676	540	683,999
თვითღირებულება								
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	12,273	-	-	-	-	-	12,273
31 დეკემბერი 2020	33,030	12,273	192,970	7,609	770,335	4,000	1,271	1,021,488
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(4,824)	(190)	(51,356)	(400)	(127)	(56,897)
31 დეკემბერი 2020	-	-	(24,274)	(1,338)	(352,919)	(2,724)	(858)	(382,113)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	33,030	12,273	168,696	6,271	417,416	1,276	413	639,375

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	123,993	194,023
მზა პროდუქცია	77,126	101,083
საქონელი	664	664
ჯამი	201,783	295,771

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	36,813	58,278
გადახდილი ავანსები	103,253	6,961
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	140,066	65,240

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	213,689	71,530
ფული სალაროში	1,536	1,688
ჯამი	215,226	73,218

12. სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	30,397	22,922
მიღებული ავანსები	132	114
გადასახდელი ხელფასები	242	242
საგადასახადო ვალდებულება	10,512	4,273
ჯამი	41,282	27,549